მურმან გორგოშაძე

სამართლის ფილოსოფიის როლი იურიდიული განათლების სისტემაში

სამართლის ფილოსოფია მსოფლიო ჰუმანიტარული აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „სამართლის ფილოსოფია“ სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იქნა გამოყენებული, მისი ცნების ქვეშ მოაზრებული პრობლემატიკა კაცობრიობისთვის უძველესი დროიდანაა ცნობილი, იმ ეპოქიდან მაინც, როცა ოფიციალური სახელმწიფო სამართლებრივი იდეოლოგიის გვერით აღმოცენდა მისგან განსხვავებული შეხედულებები სამართლიანობასა და უსამართლობაზე.

სამართლის ფილოსოფია, როგორც ცოდნის დამოუკიდებელი დარგი, XVII-XVIII საუკუნეებში იწყებს ჩამოყალიბებას ბუნებითი სამართლის სახელით, ბუნებითი სამართლის სკოლის ფარგლებში. იგი სამართლის სოციოლოგიასთან და სამართლის ანთროპოლოგიასთან ერთად, უკვე ორი საუკუნეა ყალიბდება დამოუკიდებელ მეცნიერებად და დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემაში. თუმც კი, ბერძნული ფილოსოფიიდან მოყოლებული, მე-19 საუკუნემდე, სამართლის ფილოსოფია წარმოადგენდა ფილოსოფიის კლასიკურ დარგს. ბუნების ნომოსის (კანონის) გარკვევა, შემდგომ სოციუმის ნომოსის გარკვევა და მათი ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანა ბერძნული ფილოსოფიის ძიების საგანს წარმოადგენდა. სამართლებრივი აზროვნების სათავეებთან პლატონი („სახელმწიფო“, „კანონები“) აღმოაჩენს პრინციპს, რომ სამართლიანობა უნივერსალური (ჯერარსული) პრინციპია, რომელიც საფუძვლად უდევს სამართლიან ქმედებას. მე-19 საუკუნიდან კი სამართლის ფილოსოფიის განვითარება ზოგად-ფილოსოფიური მეთოდების გამოყენებით დაიწყეს იურისტებმა (ხუბუა, 2002: 23). ლექციები სამართლის ფილოსოფიაში, ბუნებითი სამართლის სახელით, პირველად წაკითხული იქნა სამუელ პუფენდორფის მიერ ჰაიდელბერგის უნივერსი-

ტეტში 1661 წელს, 155 წლის შემდეგ, ამავე უნივერსიტეტში, ამავე დასახელებით, სამართლის ფილოსოფიაში ლექციები წაიკითხა გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა (კუზნეცოვი, 1999: 266). თანამედროვე დასავლეთ ევროპული უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე, დიდი ხანია, სამართლის ფილოსოფია ცალკე იურიდიულ დისციპლინად იკითხება (ფუტკარაია, 2011: 9) და ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგნად მოიაზრება.

სამართლის ფილოსოფია ფართოდ იკიდებს ფეხს საქართველოს საუნივერსიტეტო ფილოსოფიური და იურიდიული განათლების სფეროშიც. შესაბამისად მისი როლის კვლევა ზოგადად ჰუმანიტარულ საგანმანათლებლო სივრცეში და კერძოდ, იურიდიული განათლების სისტემაში, ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. საკითხის აქტუალობას ზრდის ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული სპეციალური კვლევები საქართველოში, იმ რამდენიმე სტატიით შემოიფარგლება, რომლებსაც წინამდებარე ნაშრომში დავეყრდნობით.

ჩვენი მიზნისთვის – სამართლის ფილოსოფიის როლის დადგენისთვის იურიდიული განათლების სტრუქტურაში, საჭიროა გავეცნოთ სამართლის ფილოსოფიის როლს, ფუნქციას და თავისებურებებს სამართლის, როგორც საკვლევი ობიექტის, შემეცნების თვალსაზრისით და ამის შემდეგ განვსაზღვროთ მისი ადგილი და დანიშნულება იურიდიულ განათლებაში, მაღალკვალიფიციური იურისტის მომზადების მიზნიდან გამომდინარე.

სამართლის ფილოსოფია სამართლისა და ფილოსოფიის შესაყარზე განთავსებული, რთული, კომპლექსური დისციპლინაა, რაც განაპირობებს კიდეც მისი შესასწავლი საკითხების მრავალმხრივობას. სამართლის ფილოსოფია სამართალს მინიმუმ სამი თვალსაზრისით მაინც განიხილავს:

1. როგორც სოციალური და სულიერი ყოფიერების ფორმას, ამ შემთხვევაში სამართლის ფილოსოფია გამოდის სოციალური ფილოსოფიის ნაწილად;

2. სამართლის ფილოსოფია სამართალს განიხილავს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ღირებულებითი ორიენტაციის სისტემას, ამ შემთხვევაში სამართლის ფილოსოფია ასრულებს მოქმედი სამართლის სისტემის იდეური პროგრამის როლს (გორგოშაძე, 2015: 9-11);

3. სამართლის ფილოსოფია სამართალს განიხილავს, როგორც საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ყოფიერების უნივერსალურ მახასიათებელს, ამ შემთხვევაში სამართლის ფილოსოფია გვევლინება სამართლის, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ნორმატიული სისტემის, ფილოსოფიად (ნაჭყებია, 2009: 108), ცნობიერების რეფლექსიად სამართლებრივ რეალობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლის ფილოსოფიის დანიშნულება ზოგადად იურისპრუდენციისთვის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოხმარების თვალსაზრისით, შემდეგი სისტემით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ფილოსოფიურ-სამართლებრივი ონტოლოგია – მოძღვრება სამართლის საზრისის, არსის, პრინციპების, დაფუძნებისა და ადგილის შესახებ სამყაროში; სამართლისა და კანონის, სამართლისა და მართლწესრიგის, სამართლის, პოლიტიკისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართების შესახებ; სამართლებრივი რეალობის, სამართლებრივი ყოფიერებისა და სამართლებრივი ცნობიერების ურთიერთმიმართების შესახებ; სამართლებრივი ნორმისა და ფაქტის ურთიერთმიმართების, სამართლებრივი ურთიერთობის, სამართლებრივი კულტურისა და სამართლებრივი რეალობის სხვა ფენომენების შესახებ;

ფილოსოფიურ-სამართლებრივი აქსიოლოგია – მოძღვრება სამართლის ღირებულების შესახებ; უტილიტარულისა და არაუტილიტარულის, მეცნიერულისა და იდეოლოგიურის სამართალში თანაფარდობის შესახებ; სამართლისა და სამართლიანობის ურთიერთმიმართებისა და სამართლიანობის შესაძლებლობის შესახებ (ბურჯალიანი, 2012: 9); სამართლის, როგორც საყოველთაო სიკეთის შესახებ; სამართლის, როგორც თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის შესახებ; სამართლის როლის შესახებ ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს, ხალხისა და კაცობრიობის ბედში (ნერსესიანცი, 1998:7) და სხვა;

ფილოსოფიურ-სამართლებრივი გნოსეოლოგია – მოძღვრება სამართლებრივი რეალობის ახსნა-განმარტებისა და შემეცნების ლოგიკისა და მეთოდების შესახებ; ემპირიულისა და თეორიულის, რაციონალურის, ემოციონალურისა და ირაციონალურის თანაფარდობის შესახებ სამართალში; კანონის ახსნა-განმარტებაში ჰერმენევტიკის მეთოდების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ და სხვა;

ფილოსოფიურ-სამართლებრივი პრაქსეოლოგია – მოძღვრება პრაქტიკული სამართალშემოქმედებისა და სამართლის პრაქტიკული რეალიზაციის შესახებ;

სამართლებრივი მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიური პრინციპების შესახებ; ფორმალური თანასწორობისა და მისი გამოვლენის შესაძლებელობის შესახებ (ლობჟანიძე, 2014: 10); სამართლებრივი მოქმედების არსის, სტრ უქტურისა და პრინციპების შესახებ და სხვა.

წარმოდგენილ სისტემას, იურიდიული განათლების სტრუქტურაში შემოაქვს ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც იურიდიული პროფილის საგნებთან ერთად, ხელს უწყობს როგორც ზოგადი (ტრანსფერული), ასევე დარგობრივი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების მაღალ დონეზე მიღწევასა და ათვისებას, რადგან სამართლის ფილოსოფიის აღნიშნული საკითხების შესწავლით იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი:

- **ეუფლება** ფართო პროფილის იურისტის საფუძვლიანი მომზადებისათვის არსებითი მნიშვნელობის ცოდნას;
- **ითვისებს** იმ აუცილებელ საბაზისო სამართლებრივ ცნებებსა და კატეგორიებს, რომლებიც აუცილებელია სხვა იურიდიული დისციპლინების ეფექტური შესწავლისათვის;
- **იმდიდრებს** იურიდიულ მსოფლმხედველობასა და სამართლებრივ კულტურას, რომელზე დაყრდნობითაც აკეთებს სამართლებრივ ორიენტაციას და იკვლევს გზას საკანონმდებლო ლაბირინთებში;
- სამართალს **განიხილავს**, როგორც ზოგად-ადამიანური კულტურის ნაწილს;
- **ეცნობა** ძირითად ფილოსოფიურ-სამართლებრივ იდეებს, კონცეფციებს, თეორიებს და მათი განვითარების დინამიკას;
- **არკვევს** სამართლის არსს და სახეებს, მის როლსა და დანიშნულებას ცალკეული ადამიანისა და კაცობრიობის ცხოვრებაში;
- **ვებულობს** კანონისა და სამართლის, მორალისა და სამართლებრივი ნორმების ურთიერთკავშირის საზრისს. სამართლის სულიერ-კულტურულ საფუძვლებს;
- **შეძლებს** შეაფასოს სამართლის განვითარების მდგომარეობა კონკრეტულ საზოგადოებაში, განასხვაოს მისი ლეგისტური და ჰუმანიტარული ასპექტები;
- **ეცნობა** სამართლის კულტუროლოგიურ და აქსიოლოგიურ ასპექტებს, სამართლებრივი რეალობის ანალიზისა და შეფასების ძირითად მეთოდებსა და მიდგომებს;

- **ეჩვევა** სისტემური აზროვნების და სამართლებრივი პრობლემებისადმი კონცეპტუალური და ფილოსოფიური მიდგომის წესსა და უნარ-ჩვევებს;
- უკეთ **ერკვევა** იურიდიულ მეცნიერებებში.

სამართლის ფილოსოფიის პრაქტიკული ფუნქცია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტისთვის და ზოგადად იურისტისთვის, უპირველესად, იმაში გამოიხატება, რომ თანამედროვეობა მოითხოვს არა სამართლის დოგმატიკაზე ორიენტირებულ სამართლის შემფარდებელს, არამედ სამართლის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტს, ამ უნარ-ჩვევებს უპირველესად სამართლის ფილოსოფია ანვითარებს. ასევე, როგორც ცნობილია, თანამედროვე პირობებში არნახული მასშტაბები მიიღო კანონშემოქმედებითმა საქმიანობამ და საკმაოდ პრობლემური გახდა საკანონმდებლო სივრცის „ათვისება". უზარმაზარ საკანონმდებლო მასალაში ორიენტაცია, ეროვნული სამართლის ეროვნულ სულთან იდენდიფიკაციის საკითხის მართებული გადაჭრა, შეუძლებელია სამართლისფილოსოფიური, ღირებულებითი და კულტურული საფუძვლების ღრმა ცოდნისა და გააზრების გარეშე (ხუბუა, 2002: 21-23), ყველაფერ ამას კი სამართლის ფილოსოფია აკეთებს. ფრაგმენტული, ფილოსოფიურ კულტურას მოწყვეტილი დოგმატური აზროვნება ამ მიზანს ვერ აღწევს. „ფილოსოფიაში გადავარდნის" (ნაჭყებია, 2015: 97) [1] გარეშე შეუძლებელია სამართლის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის სრულყოფილი გადაწყვეტა და თანამედროვე სამყაროს სამართლისთვის ჰუმანისტური ტენდენციის მინიჭება. არც ის უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ, რომ სამართლის ფილოსოფია სააზროვნო მასალის ისეთ განზოგადებას ახდენს, რომ იგი ერთგვარ ფილოსოფიურ ზედამხედველობას უწევს სამართლის კერძო მეცნიერებებს, მას სამართლის შემსწავლელი მეცნიერებების სისტემაში იგივე ადგილი უკავია, რა ადგილიც ცალკე იურიდიულ მეცნიერებებში მათ ზოგად ნაწილებს. ის ამუშავებს სპეციალური იურიდიული მეცნიერებების ისეთ უზოგადეს და აუცილებელ ცნებებსა და კატეგორიებს, როგორიცაა „სამართლიანობა", „უფლება", „მოვალეობა", „თავისუფლება", „პასუხისმგებლობა", „თანასწორობა", „სამართლის იდეა", „სამართლის საზრისი", „სამართლის მიზანი" და სხვა. აღნიშნული კატეგორიები კი

[1] ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „ფილოსოფიაში გადავარდნის" შესახებ შექმნილ ნაშრომთა საილუსტრაციოდ ამასთან იხ.: ზოიძე, 2013; ნაჭყებია (ა), 2015.

ადამიანის არსის, მისი ცხოვრების საზრისისა და სამყაროს ონტოლოგიური სტრუქტურის პრობლემას უკავშირდება. რის გამოც სამართალი თავისი „სულით“, „არსით“ ფილოსოფიურია.

ამრიგად, იურიდიული განათლების სისტემაში, სამართლის ფილოსოფიის ორ ძირითად – თეორიულ და პრაქტიკულ ფუნქციაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. თეორიულ ფუნქციაში მოიაზრება სამართლის, როგორც ასეთის, როგორც არსებულის, კვლევა და სწავლება, ხოლო პრაქტიკულ ფუნქციაში – იდეალური სამართლის ანუ ისეთი სამართლის კვლევა, როგორიც უნდა იყოს ის.

Murman Gorgoshadze

The Role of Philosophy of Law in the System of Legal Education

Philosophy of Law is a difficult, complex discipline, existing at the border between the law and philosophy. It deals with the law as with the form of the social and spritital existence, as with the system of targeting of social life values, as with the universal marker of social and individual existence.

Philosophy of Law establishes methodological principles of the law and its belief system, establishes its cognitive, values, social, cultural and anthroplogical documenting, promoting implementation of the lawyers' humanistic mission, fundamentalization of its education and establishes formation of the specialist, skilled not only in dogma-focused law levelling, but independently thinking specialist, proficient in the law interpreting.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურჯალიანი არსენ, „სამართლის ფილოსოფია“, გამომცემლობა „კარპე დიემ“, თბილისი 2012
2. გორგოშაძე მურმან, „სამართლის ფილოსოფიის საგანი, სისტემა, ფუნქციები“, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი 2015.

3. ზოიძე ბესარიონ, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი 2013.
4. ლობჟანიძე გივი, „სამართლის ფილოსოფია“, ტ. I., პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“, თბილისი 2014.
5. ნაჭყებია გურამ, ისტორიის ფილოსოფია და სამართლის ფილოსოფია, იხ., ფილოსოფიური ძიებანი, თბ., № XIII; გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2009.
6. ნაჭყებია გურამ, „გადავარდეს თუ არა იურისტი ფილოსოფიაში? იხ., ფილოსოფიური ძიებანი, №19, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2015.
7. ნაჭყებია (ა) - ნაჭყებია გურამ, პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2015.
8. ფუტკარაია ჯამბულ, სამართლის ფილოსოფია. შესავალი კურსი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011.
9. ხუბუა გიორგი, „სამართლის ფილოსოფიის საგნის საკითხისათვის“, კრებულში: კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი 2002.
10. Кузнецов Э.В., Сальников В.П., Наука о праве и государстве, издательство «Герда», Москва 1999;.
11. Нерсесянц В.С., Философия права, издательство «Норма-Инфра. М», Москва 1998;